6 (18) სექტემბერს 1868. № 36. მესამე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

| მიგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: პოლიტიკა: ფრანცია.—ანგლია. შვეიცარია.—ოსმალეთი.—სხვა და სხვა ამბავი: სმოლენსკელი ქალების თხოვნა.—ზნეობითი, ბუნებითი და ესტეტიკური გახსნა.—ერთი თვალის გადავლება.—საბიბლიოგრაფიო ცნობა.—განცხადება.—

## პოლიტიკა.

### ფრანცია.

ჰ. რ ო შ ფ ო რ ი, „ფარნის" რედაქტორი, 28 აგვისტოს მიიწვიეს პარიჟის გამომძიებელი პოლიციის სამსჯავროში. იმას ბრალი დასდვეს იმაზედ, რომ იმპერატორის პიროვნობა შეურაცხ-ჰყო; სიძულვილი აღზნო აწმყო მმართებლობისადმი და დაჰცინა ფრანციის რელიგიას, რომელიც კანონით არის ცნობილი. აგრეთვე მესტამბეც პასუხის საგებლად არის მიწვეული. 29 აგვისტოს გამომძიებელი პოლიციის სააპელაციო კამერაში განიხილეს როშფორის აპელაციურ თხოვნას პირველი გადაწყვეტილების გაუქმებაზედ ამ გადაწყვეტილებით, როგორც უკვე იყო დაბეჭდილი, როშფორს უნდა გადაეხადნა 10,000 ფრანკი ჯარიმა და ერთი წელიწადიც ციხეში უნდა მჯდარიყო. (ტელეგრამმებით შეტყობილი გვაქვს, რომ პირველი საქმის თაობაზედ როშფორისთვის კიდევ გადუწყვეტიათ 10,000 ფრანკი ჯარიმა და ცამეტ თვეს ციხეში დამწყვდევა. როშფორის აპპელაციურ თხოვნა კი სააპელაციო კამერას არ მიუღია).

ჰ. კ ა ვ ე ნ ი ა კ ი. ფრანციის სახალხო განათლების მინისტრმა ბრძანება მისცა, რომ ჭაბუკი კავენიაკი და ამის ამხანაგი, შენე, კარლოს დიდის ლიცეიდგან გამორიცხული იმ მიზეზით, რომ ტაშს უკრავდა ახალგაზდა კავენიაკის გულისთვის, რომელმაც უარი ჰყო იმპერატორის პრინცის ხელიდგან ჯილდოს მიღებაზედ,—კვალად იყვნენ მიღებულნი ლიცეაში. არავინ იცის, ჭაბუკი კავენიაკი შევა კიდევ ლიცეაში თუ არა? ამბობდნენ, რომ, დედის სურვილით, იმას უნდა გიმნაზიის კურსის დასრულება რომელიმე კერძო სასწავლოებელშიო.

### ანგლია.

ქ ა ლ ე ბ ი—ა ღ მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ ნ ი. ბირმინგამის აღმომრჩეველ მაზრაში 557 ქალმა, რომელნიც ხარჯს აძლევენ, წარადგინეს თავიანთ უფლება მომავალ აღმორჩევაში მონაწილებისა. პარიჟის საგრაფოს ჩრდილოეთი ნაწილის აღმომრჩეველ მაზრაში 18 მოახლე მივიდა და ითხოვა, რომ იმათი სახელები აღმომრჩეველთ სიაში ჩაეწერათ.

### შვეიცარია.

რაპერსვილლში პოლშელებისაგან დადგმულ პოლშის ძეგლზე გაზეთები ამბობენ შემდეგს: ძეგლი დაიდგა, გრაფი პლატერის ცდილობით, კლდოვან მაღლობზედ, რომელიც ტბაშია შესული ცხვირისავით. უწინ ცურიხში უნდოდათ იმისი დადგმა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან იქაური ქალაქის სამმართველოსაგან თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს. ძეგლი შესდგება გრანიტის საყრდობელზედ ამართული შავი ვატლანდის მარმარილოს პირამიდისგან, რომლის სიმაღლე არის 28 ფუტი (4 საჟენი); ამ პირამიდს ორივე მხარეზედ თეთრ მარმარილოზედ ამოჭრილი გერბები აქვს ჩასმული, ერთი გერბი პოლშისაა და მეორე—შვეიცარიისა; ორ მეორე სხვა მხარეებზედ ვარაყით არის წარწერილი ნემეცურ, ლათინურ, პოლშურ და ფრანციცულ ენებზედ—შემდეგი: „პოლშის უკვდავი სული ძალადობასთან ას-წლოვან ბრძოლაში ჯერ დაუმარცხებელი, თავისუფალ ჰელვეციის მიწაზედ ჰღაღადებს ღვთაებრივ და კაცობრივ სამართლისადმი. 16 აგვისტო 1868 წ." ძეგლი არის გაკეთებული ცურიხის ოსტატისაგან (ვეტლისგან) და ღირს ხუთას თუმნამდის.

### ოსმალეთი.

ბ ო ლ გ ა რ ი ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა.—ა ლ ბ ა ნ ი ა შ ი მ ო მ ხ დ ა რ ი შ ე ტ ა კ ე ბ ა. 23 აგვისტოს ბელგრადიდგან იწერებიან გაზეთს Wanderer-ში: „როგორც ოსმალეთის ბანაკიდგან მოსული ცნობებიდგანა სჩანს, ფილიპპოპოლის მაზრაში ბრძოლა მოხდა ნიზამისა და განდგომილების რაზმებს შუა; განდგომილების რაზმს წინამძღვრობდა ხაჯი-დიმიტრი. განდგომილი ბოლგარელები საკვირველი თავგამოდებით იბრძოდნენ; მაგრამ ამან სარგებლობა ვერ მოუტანა იმათ, რადგან იმათი მოპირდა-

---

### ე რ თ ი თ ვ ა ლ ი ს გ ა დ ა ვ ლ ე ბ ა

(მგზავრობა იმერეთისკენ)

დიდი ხანი იყო, რაც იმერეთი არ მენახა: სწორეთ გამოვიდოდა ოთხი წელიწადი; იმიტომაც უფრო აჩქარებით მიცემდა გული სიხარულისგან, როცა ჩემს სამშობლოს მივისწრაფებოდი, როცა ვემზადებოდი იმ ქვეყნის ნახვას, სადაც ბევრი სასიამოვნოდ მოსაგონარი ჟამი ყმაწვილობისა გამეტარებინა: მინდორი, გორაკი, ტყე, მთა, ღელე მდინარე ყველანი სანატრელს გასულს ყმაწვილობას მომაგონებდნენ; მეც გული მქონდა კმაყოფილებით სავსე, როდესაც ახალი მჩქეფარე ცხოვრება იმათ გარემოში დამეტოვებინა; მით უფრო სასიამოვნო მოსაგონარნი შეიქმნენ მშვენიერნი დღენი მოუბრუნებელად წასულის ნორჩი სიცოცხლისა, რომ ამ ჟამად აღარ იყო არც ის მჩქეფარე ცხოვრება, არც ის სინორჩე, არც ის სულის სიმარტივე. მძიმე გაჭირვებისაგან და უთანასწორო ბრძოლისაგან თითქმის გალეული სიცოცხლე, ზნე და ხასიათი ჩემი შესრვილი უწმინდური ცხოვრების ლექითა უფრო დამანანებდნენ, სადაც დავიბადე, იქ მიტევებულს უკეთესს დროებას. კიდეც იმისთვის უფრო მიხაროდა იმ არე-მარეს ნახვა და იმ კამარაში მიტრიალ-მოტრიალება, სადაც დამემარხა ჩემი წინანდელი დრო საუკუნოთ გავლილი. ეს მშვენიერი მიწა წყალი, ეს ლურჯი ცის კამარა პატრონობს ახლა ჩემს მამა-პაპის ძვლებს, ჩემს დაუვიწყარს ყმაწვილობას. მოდი და თაყვანს ნუ სცემ ამ მხარეს, მოდი და თავს ნუ დასდებ ამ მხარისათვის, როდესაც ჩემი ავლადიდება იქ მარხია. მოდი და საუკუნოთ თავს ნუ გასწირავ იმის კეთილ-მდგომარეობისათვის. ! . . . .

ვიცი ამ ჩემს სიტყვეებზე ყელამდის გონიერებით ავსილი ჩემი თანა-მემამულე დაცინვით გაიღიმებს და იტყვის: ვიჰ, რა გონება-გაუხსნელი რამ ყოფილა, ეს ვინღაც თავის სამშობლო მხარეს ასე ყმაწვილური გრძნობით ახსენებსო! თითქოს პატარა შეგირდი იყოს, რომელსაც შკოლის ოთახები ცემა-ტყეპისაგან შესძულებია და მოუთმენლათ მოელის დღესასწაულებსა, რომ თავშიშველა მოქუსლოს თავის სოფლისკენ, სადაც ტყეებში და ღრეებში წანწალით ეცდება გამოიბრუნოსო შკოლაში ტუსაღათ გატარებული დრო. მაგნაირი ლაპარაკი შეჰფერის გონება-გაუხსნელს ყმაწვილს და არა დაბრძენებულს ვაჟკაცს, რომელიც ასე უნდა იძახოდეს: ubi bene, ibi patria ესე იგი

სადაც ფულია,
იქაც ჩემი სულია;

—რა გაეწყობა, ჩემი ნაკლულევანება ის ზემოთ წარმოთქმული გრძნობაა, მაგრამ ამ ორის პატარა სტიხით რომ ჩემს გაბუტებულს ბრძენს ბუზობა დაუმტკიცდა, ეს როგორღაა! . . . ბუზიც ხომ მაგ გვარს აზრებს მისდევს. სანამდის ტკბილი ხილი არ შემოვა, მანამდის ბუზს სძინავს სადმე კუთხეში და არავის აწუხებს. რაკი ვაშლი და ყურძენი დამწიფდება, ისიც მაშინვე თავს წამოჰყოფს და მოფრინდება ამ სიტყვებით:

სადაც მწიფე ხილია,
იქაც ჩემი სულია.

ამ ცოტას ხანს მაინც ბევრმა ჩემმა მემამულეთაგანმა დაიმტკიცა ბუზის ხასიათი. ახალი თაფლი როგორც კი ნახეს, ყველანი მაშინვე იქით გაფრინდნენ! . . . მაგრამ ჩვენს დროში კაცს არაფერი არ უნდა გიკვირდეს. წარსულ მაისის დამდეგს ერთი სპარსელი მოვიდა ტფილისში და ჩვენს თვალწინ კაცი ქალად გადააქცია. ამას შემდეგ რომ ჟამთავითარებამ კაცები ბუზებათ გადააქციოს, აბა რაგასაკვირველი იქნება! კაცობრიობის ცხოვრებაში ხშირად იმისთანა დრო დადგება ხოლმე, რომ კაცი ბუზათ ჰხდება და ბუზზე მომეტებული ზნეობითი ღონე აღარა აქვს. მაგრამ ერთმა ჩემმა მეგობარმა რომ გამაკვირვა, ისე კი არაფერს გავუკვირვებივარ. ის მუდამ წარბ-შეჭმუხვნილი ოხრავდა, რომ ბუზები თან და თან მრავლდებიანო ჩვენს ქვეყანაში; თუ მარჯვეთ არ ვიქნენით, ყველანი ბუზებათ გადავიქცევითო. ამას რომ ლაპარაკობდა, თურმე გულში ბუზობა ენატრებოდა და მე აბა რას მივხვდებოდი! იმის ოხვრას და დაღვრემილს სახეს რომ ვუცქეროდი, ვფიქრობდი, ეს კაცი სწორეთ ლომათ დაბერდება მეთქი; მაგრამ! . . . მაგარიც ეს არის, რომ უჩვენეს თუ არა თაფლი, ეს ჩემი მოწონებული ლომ-კაცი ბუზათ გადამექცა და მაშინვე თაფლს მიახტა. ახლა რომ მიხვიდე, ასე გეტყვის, რადროს პატიოსნებაზედ და კაცურს მოქმედებაზე ლაპარაკია, შიმშილით კუჭი მიხმებაო. ზომიერებით რომ იქცეოდეს, კიდევ არაფერი, მაგრამ აქაც რომ არა აქვს საზღვარი იმის გაძღომას. რაც უნდა ბევრი აყარო, მაინც მშიერი ვაროო იძახის.

ვაი სოფელო რასშიგან ხარ, რას გვაბრუნებ,
და რაზნე გაქვს.
ფულით კაცსა ბუზათა ჰხდი, და ავიწყებ გონიერს გზას.

ამ ჩვენი ბუზებისა არ იყოს, მეც ჩემს გზას გადავცდი მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩემს მოგზაურობაზე და აქედგან ბუზებზე გადავხტი. აბა, ბუზები რა სალაპარაკო საგანნი არიან, თქვენი ჭირიმე, რომ იმათ ვითარებას ამდენი სტრიქონი მოვანდომე!, მაგრამ კიდეც ეგ არის ჩვენი ცხოვრების დამცირება, რომ ხშირად ბუზებზედ მოგვდის ლაპარაკი.

I

ქუთაისი ერთი პატარა ლამაზი ქალაქია, რომელიც მდებარებს რიონის დიდი ჭალების ყელში. ამ სახით იმას უჭირავს შუა წერტილი იმერეთისა. რაჭა, ლეჩხუმი, ზემო იმერეთი, ქვემო იმერეთი, გურია და უმეტესი ნაწილი სამეგრელოსი როგორც შუა-ალაგს, ისე ეხვევიან ქუთაისს და რაოდენათაც გახსნილია ალებ-მიცემობა ამ მხარეებში, ქუთაისიც ეგოდნათ იმათი სავაჭრო წერტილია.

მთელი ქუთაისი ბაღშია ჩადგმული. შორიდგან რომ შეხედო, ისე დაჩრდილულია დიდრონი ხეებითა, რომ სახლები ამ ამწვანებულს ბაღში თეთრ წერტილებათ სჩანან.

ჩემს შემდეგ ქუთაისს ბევრი მოუმატნია. ხეები გაზრდილან და ჩრდილი ყველგან ძალიან გასქელებულა, შენობაც ბევრი მომატებია; ამასთანავე უფროც დაშვენებულა: ახალი ჯაჭვის ხიდი აუგიათ, ბირჟა გაუკეთებიათ. აქ განსაკუთრებით ერთმა საგანმა გამაკვირა: ქუთაისი ძალიან გასუფთავებულა! ყოველს ქუჩას თავისი სახელი დარქმევია, ყოველი სახლი ზედ-მიკრული და შეღებული ფიცრებით გელაპარაკება, მე ამა და ამ კნიაზის სახლი გახლავარ და ესა და ეს ნომერი მაკრავსო. ერთი სიტყვით ქუთაისი გარეგანის სახით მეტად გაბრწყინვებულა. აბა, ახლა ვნახოთ შინაარსიცა. იქნება ისიც თავისი სიმდიდრით უდრიდეს გარეგანს ბრწყინვალე სახესა. აი, თქვენ თვალ-წინ თლილის ქვით აგებული ლამაზი დუქანი; ვნახოთ, რა საქონლით ვაჭრობს შიგმდგმური: ორიოდე ღერი ქონის სანთელი, ორიოდე ღრაფინა წითლათ და მწვანეთ შეღებული არაყი, ორიოდე მძეხვი (კუპატი), აი ესენი გახლავსთ იმ მშვენიერის დუქნის ვაჭრის სიმდიდრე. თითქმის სულყველა დუქანი ქუთაისში იმისთანაა. ამ სილარიბესთან დუქნის ქირა რომ იკითხოთ, გაგიკვირდებათ: ოცი, ოცდა ათი და ორმოცი თუმანი! საიდგან უნდა მოიგოს ამდენი ფული დუქანში მდგმურმა ღატაკ ვაჭარმა?—შექველია, რომ რაცა აქვს, ერთი ორათ უნდა დაჰყიდოს და იმით როგორმე თავის თავიც და დუქნის პატრონიც უნდა არჩინოს. აი, რა არის ძვირობის მიზეზი ქუთაისში. არსად არ ნახულა ისე გაუხსნელი ალებ-მიცემობა, როგორც აქ. ამისგამო არც ერთს ქალაქს ისეთი ღარიბი ვაჭრები არ ასხია, როგორც ქუთაისს. ერთს დუქანს, ერთს მაღაზინს ვერა ნახავ იქ ისე გავსილს საქონლითა, როგორც ტფილისის უკანასკნელი დუქანი და მაგაზინია გავსილი. ამ სახით ქუთაისი რამდენათაც კარგი სანახავია შორიდგან თავისის გარეგანის ბრწყინვალებითა და მშვენივრობითა, იმდენათ უფრო უნუგეშოა, იმისი შინაგანი არსე-

პირე ოსმალეთის რაზმი ბევრით მეტიც იყო იმათზედ და კარგი ალაგიც ეჭირათ ბრძოლის დროს. ამ ბრძოლაში ცოცხლად გადარჩა მხოლოდ ოთხი ბოლგარელი. ხაჯი-დიმიტრიც მოკლეს. ამ ოსმალეთის ჯარის გამარჯვებას არ შეიძლება მიეცეს რაიმე მნიშვნელობა; ეს გამარჯვება ერთი იმ გამარჯვებათაგანის მსგავსია, რომელიც ოსმალოს ჯარს რამდენჯერმე მოუხდენია კანდიის კუნძულზედ, მაგრამ ალრეულობა კი სრულებით ვერ დაუხვშია. ხაჯი დიმიტრის ბევრი მნიშვნელობაინი ქალალდები უპოვნეს. იმის დასამტკიცებლად, რომ ალრეულობა ჯერ სრულებით არ არის მოსპობილი, ის გარემოებაა, რომ ადრიანოპოლის გენერალ გუბერნატორმა მიილო ბძანება, რომ ოსმალეთის ყაზახების სამი ესკადრონი გაგზავნოს და ყოველ მხრივ შემოარტყას ბალკანს. ოსმალეთის ყაზახებს წინამძღვრად ჩაიკოვსკი ჰყავსთ.—ალბანიიდგან 17 აგვისტოს იწერებიან შემდეგ ცნობებს. 13-გან 16 აგვისტომდის შიგ სკუტარში საშინელი შეტაკებაები მოხდა. ორივე მხრით ბევრი დაჭრილა და დახოცილა. თუ იზმაილ ფაშამ გამჭრიახობით არ იმოქმედა—შედეგი ძალიან ცუდი იქნება. ამ შემთხვევაში ბრალი სულ პორტას დაედება, იმიტომ რომ ის მხოლოდ მუსულმანებს თანა უბრძნობს და ამ გვარად იქცევა ფრიად არა—პოლიტიკურად".

კ ა ნ დ ი ი ს  ს ა მ ხ ე დ რ ო  მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ  ბ ი უ ლ ლ ე ტ ე ნ ი. კანდიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააქვეყნა კანდიაში უკანასკნელად მომხდარი სამხედრო მოქმედებათ ბიულლეტენი. „კანდიიდგან მოსული ცნობები 3 აგვისტოდგან არიან. 17 ივლისს ბოლო-აღმოსავლეთის მაზრების განდგომილები, უშიშარი სთაკიონაკის წინამძღვრობით, დაეცნენ გამაგრებულ ოსმალებს; აქ ოსმალეთის ჯარი იყო ხუთი ბატალიონი და ხუთასიც მოწყობილი ჯარის კაცი, ადგილობრივი მუსულმანებისაგან შემდგარი, რომელთაც ერიფ-ფაშა უფროსობდა. ბრძოლის დროს, რომელიც შუადღიდგან მოყოლებული სალამომდის გაგრძელდა, განდგომილებმა განგებ დაიწყეს უკან და ამით ოსმალეთის ჯარი გაიტყუილეს წმ. ილიას მთამდის, და იქ მიწის ქვეშ გაკეთებული თხრილი ახეთქეს თოფის წამლით და ამით მრავალი მტრის სალდათი დალუპეს. მიღებული ცნობებიდგანა სჩანს, რომ ოსმალებს ამ დღეს დიდი დასაკლისი უნდა მოსვლოდათ, რადგან მარტო დაჭრილები გაგზავნეს გემით ას კაცამდის. ამ გამარჯვების შემდეგ, როგორც გვაცნობებენ, კანდიელები აპირობდნენ ახლად დაცემას ოსმალებზედ, გარნა ოსმალებმა მაგიერის გადასახდელად გადაწვეს 7,000 ხეხილეული. 22 ივლისს სულთნის ჯარის რაზმს დაეცნენ სთაკიელები და უკან დააწვივნეს; აქ ოსმალებს 15 კაცი მოუკვდათ და დაეჭრათ, ამათ რიცხვში ერთი აფიცარიც. კარპოს გზაზედაც სხვა ოსმალეთის რაზმი დაამარცხეს განდგომილებმა. 30 ივლისს, ოსმალეთის დიდი რაზმი გამოვიდა ლოკოსიდგან და გაემართა თერისოსსა და კამპისკენ ადგილების გასაჩხრეკად და ბლოკგაუზების გასამართავად. დანიშნულ ადგილას რომ მივიდა, ამ რაზმს დაეცნენ განდგომილები ხაჯი მიხალისისა და არისტოტელ ბოიაზაკლოს წინამძღომელობით და დამარცხების გარდა აიძულეს იმათ ისევ ლოკოსში დაბრუნება. ამ დღეს ოსმალებს, როგორც სჩანს, ბევრი ზარალი მოუვიდა, რადგან ბრძოლის შემდეგ კანეას ოცდა ცხრა დაჭრილი მიიყვანეს და შემდეგაც ახალ-ახალი მოჰყავნდათ. ამასთან ისიც ყველამ იცის, რომ კანდიაში მყოფი ოსმალები საავადმყოფოებში მხოლოდ მძიმედ დაჭრილ სალდათებსა ჰგზავნიან. იმავე დღეს სელინოსში შეტაკება მოხდა და ამ შეტაკებაშიაც ოსმალებს სამი კაცი მოუკვდათ და შვიდიც დაეჭრათ".

## სხვა და სხვა ამბავი.

ს მ ო ლ ე ნ ს კ ე ლ *) დ ე დ ა კ ა ც ე ბ ი ს  გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა. „ბირჟის ვედომოსტებში" სწერენ, რომ ივლისის თვეში პეტერბურგის უნივერსიტეტის რჩევაში რექტორის სახელზე მოვიდა სმოლენსკელ ქალებისაგან თანაგრძნობის გამოცხადება, ქალებისთვის ლექციების კითხვა რომ გადასწყვიტეს, იმის თაობაზე. ამ თანაგრძნობის გამოსაცხადებელს ბარათზე ხელს აწერს იქაურ გუბერნატორის ცოლი და სამოცდა ხუთი ქალი.

„მ. ხ. კარლოს თეოდორის ძევ!

დიდიხანი არ არის მას უკან, რაც ჩვენ გავიგეთ, ვითომც ქალებს ეთხოვნოსთ უნივერსიტეტის გაღება თავისთვის, იმის გამო რომ თქვენ უ უ. პროფესორებს გადაგიწყვეტიათ ლექციების კითხვა ქალებისათვის.

დიახ კარგათ გვესმის, რომ ახლანდელი სასწავლებლები ქალებისა საკმაო არ არის იმათ მოსამზადებლათ საოჯახო და საზოგადო მოქმედებისათვის და ამის გამო ვისწრაფით დავძინოთ ჩვენი თანაგრძნობაც იმათ თხოვნას, რომელიცა უკვე მოურთმევიათ, რომ განვუცხადოთ დიდი მადლობა უ უ. პროფესორებს, იმისთვის რომ იმათ ასეთი დიდი ყურადღება მიაქციეს ქალის საქმესა.

„ჩვენ გვიხარია ჩვენთვის კი არა, ამიტომ რომ ძალიან ცოტანი არიან ჩვენ შორის იმისთანანი, რომ შეეძლოსთ უნივერსიტეტის კურსის მოსმენა; მაგრამ გვიხარია ჩვენი ახალგაზდობისათვის, ქალების გიმნაზიებისათვის და სხვა ქალების სასწავლებელთათვის, რომელთაც მიეცემათ წინმსვლელობა და ქალების აღზრდას მსწრაფლად და ადვილათ ეღირსება წარმატება.

ამ ჟამად რადგან ბევრნი არიან სოფლად გასულნი, ამის გამო ხელის მომწერნი ცოტანი არიან, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ბევრნი შემოგვიერთდებიან, რომ განვცხადონ მხურვალე თანაგრძნობა თქვენს წინათ მოსაზრებულს საქმეში".

*) სმოლენსკის გუბერნია მდებარებს პოლშის საზღვარზე რუსეთში.

## ზნეობითი, გონებითი და ესტეტიკური გახსნა.

### სტატია პირველი.

არა ვგონებ, რომ იყოს კიდევ ჭეშმარიტება იმაზედ ცხადი, რომ ჩვენი ცხოვრება საჭიროებს ძირითადს განახლებაში, ჩვენი საერთო ლტოლვილებანი უნდა იყვნენ მიმართულნი ამ მიზნისადმი და ყოველი კეთილშობილი მოქალაქე ამასვე უნდა ცდილობდეს.... ჩრფელი და ღრმა უნდა იყოს ჩვენი წადილი საზოგადო განახლებისა, სანატრელი უნდა იყოს მისი მოახლოვება და ხელებ-გაპყრობილნი უნდა მივესალამოთ გარიჟრაჟს ამ ახალის ცხოვრებისას. თუ კი, ამ გვარი წადილი მტკიცეთ ექნება ალბეჭდილი ჩვენს გულს, მაშინ ადვილად დაითრგუნება ყოველი დაბრკოლება და თვით მძიმე განსაცდელიც ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე განზრახვას. ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენ ნათლად ვგონებდეთ იმ ღონისძიებაებს, რომლებიც ეხმარებიან ამ განახლებას, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა მოქმედება უფრო შეჰშვენის ამ უდიდესს მიზანს: რო-

ბობა, იმისი ზომაზე მომეტებული სიღარიბე და გაუხსნელი აღებ-მიცემობა.

ამ შემთხვევაში ქუთაისი სწორეთ ნამდვილი სურათია მთელი იმერეთისა. როგორც ისა, იმერეთიც აგრეთვე მშვენიერი და ბრწყინვალეა გარეგანის შეხედულობით, მაგრამ შესაბრალებელია სიღარიბით: ბუნება მოსაწონია მრავალგვარობით და მომცემობით; კაცს რომ შეხედო,— გინდ აზნაურს, გინდა გლეხს, ყველა ლამაზათ ჩაცმულია; უფრო ბევრს იმათგანს ბუზმენტებით გაწყობილი ტანთსაცმელი აცვია. ქალი ხაბარდას და აბრეშუმის კაბას არ იცილებს. ერთის სიტყვით შორიდგან რომ შეხედო გლეხი და აზნაური მდიდრათ გეჩვენება, მაგრამ იმათი ოჯახი და შეძლება რომ ნახო, თვალებზე ხელს დაიფარებს: სიღარიბისა და სისაწყლის მეტს ვერას ფერს ნახავ. ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ ორიოდე გროში თუ ვისმე მებატონეთაგან რგებია, ყაირათის უცოდინარობით მაშინვე მიუფლანგავს დაეხლა ებრძვის ისევ უწინდელს გლეხს, რომ როგორმე კიდევ იმას დასტყუოს თავისი გასაკვები; თვითონ კი ხელს არაფერს ჰკიდებს და ამისგამო კერა უფრო და უფრო უქრება და ვალში ვარდება. გლეხიც იმას ცდილობს, რომ ყმობითის დამოკიდებულების მოსპობის შემდეგ როგორმე ბატონს გაუთანასწორდეს და მუშაობისათვის თავი დაუნებებია. რათ?—როგორც ჩემი ბატონი არ მუშაობს, ისე, არც მე ვიმუშავებ, რომ ჩემმა ნაბატონარმა ყაზახი (გლეხი) არ დამიძახოსო. ცდილობს თვითონაც ისე ჩაიცვას, როგორც უწინდელს მებატონეს აცვია და თავის ცოლ-შვილსაც ისე ჩააცვას, რაც უწინდელს ქალბატონს აცვია. რათაო?—უნდა დაუმტკიცოს თავის ნაბატონარს, რომ რაც შენ ხარ, მეც ისა ვარო. ამ სახით გლეხმა შრომას უკლო, ხარჯს უმატა და ამისგამო იმასაც თანდათან კერა უქრება და ყელამდინ ვალში ვარდება. იმისთანა სოფლები არიან, რომელთაც ათასი თუმანი ვალი აქვთ და ზოგგან მანეთზე ნახევარ მანეთს, ანუ მანეთს სარგებელს აძლევენ. ამით ვინ მდიდრდება ან ვისგან იღებს იმერეთის ხალხი ამდენს ვალსა? ვისაც ორიოდე გროში მოეძევა, იმისგან. ამ ბოლოს დროს ურიეებს აღდგომა გაუთენდათ. ქუთაისში ძალიან გამაკვირვა ურიების ვაჭრობამ. არც ერთს იმათგანს ხეირიანი ვაჭრობა არა აქვს. ყოველს ურიას დუქანი დაცალიერებული აქვს, ან თუ ვაჭრობს, ისეთი დაბალი საქონლითა ვაჭრობს, რომ გროშათ არა ღირს. ხალხს რომ ჰკითხო, იმათთანა მდიდარი კი ქუთაისში არავინ არის. საიდგან შოულობენ ისინი ამდენს ფულს? —ხალხს ავალებენ ხოლმე და იქიდგან. რასაც ისინი გასესხებით იგებენ, იმის მეათედსაც როგორ მოიგებენ ვაჭრობაში! მართლა რომელი ურიაც შეძლებულია, იმას თუმცა დუქანი აქვს დაქირავებული, მაგრამ არაოდეს შიგ არ ვაჭრობს. ის დადის ბულვარის წინ, სადაც გროვდება თავად-აზნაურობა და ხან ერთს მიახტება და ხან მეორეს. რა აქვს სალაპარაკო?—"ბატონო, ბატონო ჩემს ფულს როდის მომცემო"? ეს არის ურიის სალაპარაკო. ვისაც სარგებლის მიცემა უძნელდება, ის ათი სარგებლისოდენს აძლევს ღვინით და პურით. მოდი და ამისთანა ცარცვა გლეჯით ნუ გაღარიბდება ხალხი! მიზეზი ამისი მაინც თვითონ ხალხია, რომელსაც თავისი ახალი მდგომარეობა კარგათ ვერ შეუტყვია, ვალის აღება გაადვილებია და ბოლოს თავის დაგირავებასაც მოელას.

ერთი საჩხერელი მებატონე ვნახე. ის იყო შეძლებულთაგანი: პურიც ბევრი მოჰყავს, ღვინოცა და თივაცა; მაგრამ რომ მოინდომოს წელიწადში თუმნისას ვერას გაჰყიდის! სახლობით ქუთაისზედაც ახლოა და ზესთაფონზედაც (ყვირილის სტანციაზე). იმის სახლიდგან ქუთაისამდის სამოცი ვერსი არ არის და ყვირილის სტანციამდი ორმოცი ვერსი თუ იქნება, მეტი არა. მაგრამ რა ჰქმნას, რომ იმ ალაგებამდის ჭირნახული ვერ მიუტანია! მთელი საჩხერის მაზრა ისე შემოზღუდულა მთებითა, რომ კარგი საურმე გზა არა აქვს. ცხენით რომ წაიღოს, კაცსა და ცხენს იმდენი ქირა და საგძალი მოუნდება გზაზე, რომ ჭირნახული გასყიდვათ აღარა ღირს; ურემზე თუ დაუდე, ეს კიდევ უარესი. მინამ გასასყიდ ალაგამდის მიაღწევდეს, შესაძლებელია ურემიც დაიმტვრეს და ხარკამეჩიც ამოიხრჩოს განუვალს ლაფში. ამ სახით გზების უქონელობისგამო საჩხერელმა კაცმა რომ ბევრი ჭირნახულიც მოიყვანოს, ვერ გაჰყიდის და რათ უნდა. არის დამწყვდეული თავის მთებში და ფულს ვერ შოულობს, რომ ცოტაც არის, ოჯახს ხელი შეუწყოს. უფრო ნამდვილი მიზეზი მუშაობაზე ხელის აღებისა ეს უნდა იყოს. რამდგომარეობაშიაც საჩხერეა, კიდევ უფრო ცუდს მდგომარეობაშია რაჭა, ლეჩხუმი და სვანეთი. ხალხია ღარიბი, იმიტომ რომ შრომას უკლო, შრომას უკლო უფრო იმიტომ რომ ნაშრომს ვერ ჰყიდის; და ვერ ჰყიდის, იმიტორ რომ გზების უქონელობით ჭირნახული სავაჭრო ალაგამდის ვერ მიუტანია. ამ სახით უმთავრესი მიზეზი ხალხის სიღარიბისა და ვაჭრობის გაუხსნელობისა არის გზების უქონელობა. სანამდის მთის ქედებით შემოზღუდული მაზრები ქუთაისთან და სხვა სავაჭრო ადგილებთან არ შეერთდება კარგათ გაკვერილ საურმე გზებითა, სანამდის სოფლიდგან სოფლამდე ამისთანავე გზები არ დაკეთდება, მანამდის იმერეთის ხალხი ტყვილათ ნუ ელის, რომ ხელი წაიწყოს შინაოჯახობაში; თუ კარგი გზები არ იქნა, გულდადებული მუშაობაც ბევრს ვერას გაარიგებს. ნაშრომს დანალვაწს თუ კი ვერსაით წაიღებ გასასყიდათ, მომეტებული შრომაც სულ უნაყოფოთ ჩაივლის. ამბობენ ამ ორ წელიწადს რკინის გზა გაიხსნებაო ფოთსა და ქუთაის შუა. სამაზრო და სასოფლო გზების უქონლობაში რკინის გზა არას არგებს ხალხის კეთილმდგომარეობას. ამიტომ რომ მაშინ ყირიმიდგან და ტრაბიზონიდგან უფრო იაფად დაჯდება ყოველგვარი ჭირნახულის შემოტანა, ქუთაისში ვიდრე ლეჩხუმიდგან და რაჭიდგან. მაშასადამე ყოველგვარი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა უცხო ქვეყნელებს ჩაუარდებათ ხელში და ჩვენი ხალხი თან და თან იწყებს გაღარიბებას. ამას ისიც უნდა მიუმატოთ, რომ მთელს იმერეთში ჭირნახულის მოსავალმა მეტათ უკლო. მთა-გორიანი სახნავ-სათესი მიწები მოუვლელობით და მუშაობის უცოდინარობით ძალიან გაღარიბდენ. მიწის პატივი იმერეთში არ იციან და ეს სახნავი მიწები იმდონაზე დამდგარან, რომ უპატივებლათ კარგს მოსავალს აღარ აძლევენ. მდინარის პირის ჭალები თუმცა კარგი ნაყოფიერნი არიან, მაგრამ მთებში ტყეების გაწყვეტისა გამო ყოველ წლობით ჭალები ნიაღვრებით აივსებიან ხოლმე და ნამუშევარს სულ ერთიანათ წალექვენ და წაიღებენ ხოლმე. ესები რომ კაცმა ყურადღებაში მიიღოს, დარწმუნდება, რომ იმერეთის ხალხის მომავალი ცხოვრება სწორეთ ბევრს სანუგეშოს არას წარმოადგენს. მხოლოდ ორი საშუალებაა, რომელთაც შეუძლიათ, რომ ცოტაც არის, ხალხის კეთილ-მდგომარეობას ხელი შეუწყოს: მაზრების და სოფლების შეერთება კარგათ გაკვერილის საურმე გზებითა და ბანკის დაფუძნება—იმისთანა ბანკისა, რომელშიაც მთელს იმერეთის მცხოვრებლებს ჰქონდეს მონაწილეობა. ბანკი უფულო მეოჯახეს ფულს მისცემს სამუშაოთ, ხოლო გზები მომეტებულს ჭირნახულს გააყიდვინებენ. ამ ორის ღონისძიებით შეიძლება ვაჭრობის გაღვიძება და ხალხში ფულის დატრიალება და ამ ორის ღონისძიების მოხმარება კი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. იმას შეუძლიან სასოფლო გზების გაკეთებაც ითავოს და საერო ბანკის დაარსებაცა. ვნახოთ ან ერთზედ და ან მეორეზედ როგორს მზრუნველობას გამოიჩენს იმერეთის საზოგადოება?...

(შემდეგი იქმნება).

გორ და რა სახით შეიძლება მივახწიოთ ამ განახლებას.

ამ გვარის საქმისთვის ჩვენში უნდა არსებობდეს რწმუნება ჩვენს თავზედ და ჩვენს ზნეობით ძალაზედ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა შეგვიძლიან და რა არ შეგვიძლიან. არ უნდა მოვატყუოთ ჩვენი თავი იმ უგუნურის აზრით, რომ ვითომც ერთს კაცს არ შეუძლიან არა ვითარი კეთილის მოტანა საზოგადოებისათვის. თუნდაც რომ მისი კერძო ძალა იყოს მიკროსკოპიული, მაინც ის მონაწილეა საზოგადო ცხოვრების აგებულებაში. მე არ ვუარვყოფ, რომ საზოგადოება უფრო ძრიელია ყოველს კერძო კაცზედ, მაგრამ მრწამს ისიც, რომ კერძო კაცს შეუძლიან იმოქმედოს საზოგადოებაზედ. არიან კერძო მიზეზნი, რომელნიც დაარღვევენ საზოგადო მიზეზების მოქმედებას, თუმცა, უნდა კი ვსთქვათ, საზოგადო მიზეზები უფრო უძლიერესნი არიან. ზნეობითი ძალა, როგორათაც ფიზიკური, რაც უნდა მცირე იყოს იგი, არ გაჰქრება და არ დაიკარგება საზოგადოებისათვის. იგი მოახდენს უმრავლესს ცვლილებაებს და ჩვენ დაახლოვებულათაც ვერ განვსაზღვრავთ, სადა თავდება მისი მოქმედება . . . ჩვენის აზრით ლიტერატურას, აღზრდას და კერძო პირებს შეუძლიანთ საწადინელი ცვლილება მოახდინონ ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენი სასოება განისვენებს მათზედ. ესენი ირიან უპირველესნი ღონისძიებანი ყოველგვარის გაუმჯობესობისა. . . . მე მივმართავ ახალგაზდობას და მოვიწადინებ, რომ იგი არ მიეცეს უმოქმედობას და არ ჩაღრმავდეს თავ-მოყვარეობაში და იმ გვარს სიცოცხლები, რომელსაც არ განანათლებს სხივი ჭეშმარიტებისა და კეთილისა. ვინ, თუ არა იმან უნდა მოგვცეს ჩვენ მაგალითი გმირული და კეთილშობილის ხასიათისა? ვინ, თუ არა ახალგაზდობა უნდა შეჰნატროდეს ხალხის განახლებას? ვინ, თუ არა ის უნდა იყოს წინამორბედი მომავალისა, გამგმირი საზოგადო უმეცრებისა და მზა ყოველ გვარ პატიოსნურ თავშეწირულებაზედ.

ამ გვარის მტკიცეთ განზრახულის მოქმედებისათვის საჭიროა აგრეთვე განსაზღვრული პრინციპი მოქმედებისა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ზნეობითი ღირსება ყოველის ჩვენის საქციელისა, უნდა ვცნობდეთ იმ შედეგებს, რომლებიც მიუცილებლად მოსდევენ ჩვენს საქციელს: უნდა წინათვე ვხედავდეთ ბოროტი, თუ კეთილი მოაქვს მას. ამ შემთხვევაში ზნეობითის პრინციპის არ ქონება აყენებს ჩვენს მოქმედებას და არ მიგვიყვანს იმ მიზნამდის, რომლის მიხწევაც ჩვენთვის დიდი საწადინელია. აქედან წარმოსდგება უხასიათობა და დაუდგრომელობა ჩვენს ცხოვრებაში, აქედგანვე წარმოსდგება ისიც, რომ ჩვენ არ ვიცით, რას მოვკიდოთ ხელი და ამისაგამო ხშირად მიახდება, რომ შავს თეთრად შევრაცხავთ. იმის ნაცვლად, რომ გვქონდეს მტკიცე რწმუნება ყოველს ჩვენს მოქმედებაში, ჩვენ დავიარებით თვალებ ახვეულნი და ვერა ვცნობთ ვერც მიზანს ჩვენის ლტოლვილებისას და ვერც იმას, ახლოს თუ შორსა ვართ ამ მიზანთან.

მე უნდა ვეცადო წარმოუდგინო მკითხველს ამ გვარი ზნეობითი პრინციპი ჩვენის მოქმედებისა, იმ გვარი პრინციპი, რომელიც იყოს დამფასებელი (კრიტერი) ყოველის ჩვენის მოქმედებისა და მაჩვენებელი მისის კეთილის და ბოროტის შედეგებისა. იგივე პრინციპი იქნება უკანასკნელი მიზანი, რომელსაც, როგორც მიმომზიდველს ცენტრს, უნდა ევლტოდნენ ჩვენი მოქმედებანი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ გვარი კითხვა ჩვენს ლიტერატურაში სრულიად ახალია და ამისაგამო ვგონებ იგი იყოს სახალისო მკითხველისათვის, თუნდაც რომ არა გვქონდეს სახეში მისი სხვა კარგი მხარენი. ამასთანავე მოიწია დრო, როდესაც ჩვენ უნდა ვიწყოთ მოქმედება, და აქ ბუნებითად დაიბადება ამ გვარი კითხვა: რა გავაკეთოთ? სამუდამოთ წავიდა ის დრო, როდესაც ჩვენ უგრძნობელად და მხოლოდ ინსტიკტით ვცხოვრებდით. ეხლა გვეჭირება, რომ ვკითხოთ ჩვენს თავს: *სადა ვართ და საითკენ მივიმართებით?*

---

მას აქეთ, რაც კი ფილოსოფია არსებობს, კაცის ზნეობა ყოველთვის იყო საგანი გულდადებულის ფილოსოფიურის გამოძიებისა. მრავალნი ფილოსოფოსნი დიდის თავგამოდებით ცდილობდნენ ეპოვათ ისეთი ზნეობითი პრინციპი, რომელსაც ჰქონოდა მსოფლიო მნიშვნელობა. სამწუხაროდ უკანასკნელს დრომდის ამ გვარი პრინციპი არ დადგინდა. ეთიკა, რომლის საგანიც არის კაცის ზნეობის და ხასიათის შესწავლა, შეადგენდა მეთაფიზიკის ნაწილს და თუმცა წარჩინებულის ფილოსოფოსებისაგან შემუშავდებოდა, მაგრამ მათს გამოძიებაებს არა აქვნდა სამეცნიერო ხასიათი. მათნი ზნეობითნი სწავლანი, როგორც სისტემები, კიდევ კარგნი იყვნენ, მაგრამ არა ჰქონდათ ჯეროვანი სიმტკიცე და საფუძვლიანობა. ჩვენ არ ვიჭვნეულობთ მათს გენიოსობაში, მაგრამ მათი გენიოსობაც ცოტას გააწყობდა მაშინ, როდესაც როგორც სხვანი, აგრეთვე ისინიც საკმაოდ არ აფასებდნენ იმ უდიდეს ჭეშმარიტებას, რომ ყოველს სოციალურს (საზოგადო) მოვლინებას აქვს თავისი მიზეზი და ექვემდებარება რომელსამე კანონს. სამეცნიერო დამტკიცებაებისნაცვლად იგინი უმეტეს ნაწილად წარმოადგენდნენ მეთაფიზიკურს დამტკიცებაებს, ბუნებითის და სოციალურის მიზეზების მაგივრად, მეთაფიზიკურს მიზეზებს; კაცის მოქმედებას განუწესებდნენ იმ გვარს მოტივებს და უჩვენებდნენ იმ გვარს მიზანს, რომელსაც არ აქვნდა არავითარი დასაბჯენი წერტილი კაცის ბუნებაში, არამედ იყო ზენაარსებითი, რომელიც სრულიად ალეგმატებოდა კაცის მიდრეკილებათ და ლტოლვილებათ. ამით მე არას დროს არ ვუარვყოფ, რომ იმათ არ გამოსთქვეს მრავალნი ნათელნი ჭეშმარიტებანი, უმეტესად ლოღიკაში, ფსიხოლოღიაში და თვით ეთიკაში. ვის შეუძლიან დაგვიმტკიცოს, რომ სოკრატის, სპინოზას, კანტის და ფიხტეს ზნეობითნი სწავლანი უნაყოფონი არიან. ვინ იტყვის, რომ იმათ არ შეიტანეს ზნეობითს ფილოსოფიაში ახალი ნათელი? ვინ უარ ჰყოფს, რომ კანტის ფილოსოფია არ შეადგენს ეპოქას გონებითი განათლების ისტორიაში? მაგრამ ამასთან უნდა ვსთქვათ ისიც, რომ საზოგადოთ შრომა და ღვაწლი უფრო დიდი იყო, მანამ მათი შრომის ნაყოფი. არა თუ ზნეობა, არამედ რაცკი შეეხებოდა კაცს და საზოგადოებას უკანასკნელს დრომდის დაუმუშავებელი იყო და სამეცნიერო მეთოდი ამ საგნებში არ იყო შეტანილი, მაშინ როდესაც მათემატიკამ თითქმის უმაღლეს სისრულეს მიახსწია და ბუნებითნი მეცნიერებანი საკურველად გაიხსნენ, *სოციოლოღია*, რომლის სამეცნიერო საგანიც არის კაცის საზოგადოება, თითქმის ერთს წერტილზედ იდგა. ასე იყო საქმე უკანასკნელს დრომდის. ახლა კი საქმე სრულებით გამოიცვალა. პოლიტიკურმა ეკონომიამ და სტატისტიკამ მიიპოვეს სამეცნიერო მნიშვნელობა, მრავალმა შესანიშნავმა მოაზრეებმა მიაქციეს ყურადღება საზოგადო ცხოვრების შესწავლას. ოგიუსტ კონტი პირველად ცდილობდა მიეცა მთელის სოციალოგიისთვის სამეცნიერო ხასიათი და თუმცა საზოგადო იმისი სისტემა ვერ დაუდგება ფეხზედ სამეცნიერო კრიტიკას, მაგრამ იმან პირველად დაამტკიცა ჯეროვანის სისრულით რომ სოციოლოღია უნდა შემუშავდეს სამეცნიერო მეთოდით, და ცხადათ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ამ მეთოდის შემწეობით იგი შეიქმნება მეცნიერებათ. და თუმცა სოციოლოღია ახლად დაბადებული მეცნიერებაა, მაგრამ მას ეკუთვნის მშვენიერი მომავალი. ეს არის ერთი იმ მეცნიერებათაგანი, რომელიც ყველაზედ მომეტებულად მიაქცევს ჩვენს ყურადღებას. აქ აიხსნებიან კითხვანი სიცოცხლისა და გახსნისა, ბედნიერებისა და კეთილისა.

უკანასკნელს დროში ცდილობდნენ ზნეობისთვისაც მიეცათ მტკიცე საფუძველი და კიდეც ჰპოვეს ისეთი ზნეობითი კანონი, რომელიც შეიძლება შეირაცხოს მსოფლიოდ, მტკიცედ და შეურყეველად. ეს კანონი შეიძლება მივიღოთ იმ ზნეობით პრინციპად, რომლიდგანაც უნდა გამომდინარეობდეს კაცის მოქმედება. რაში მდგომარეობს ეს პრინციპი— აი რა უნდა გამოვიძიოთ ამ ჟამათ.

ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ ცხად ჭეშმარიტებად, რომ ეს ზნეობითი პრინციპი უნდა იყოს დამყარებული კაცის ცხოვრების დედა-კანონზედ. სიცოცხლესა აქვს თავისი მოთხოვნილებანი, რომლების დარღვევაც მოუსწრაფებს კაცს სიცოცხლეს და ამ გვარად მოაკლებს მას უდიდეს ბედნიერებას, რომლის უპირველესი წყაროც არის სიცოცხლე. ყოველი კაცი არის გაჩენილი სიცოცხლისათვის, რომელსაც ის გვიმტკიცებს თავის სიცოცხლით. ამ სიცოცხლიდგანვე დაიბადებიან თავისი შესაფერნი მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებაებში არის გარჩევა. ზოგნი ამ მოთხოვნილებათაგანი მიუცილებლად საჭირონი არიან კაცის სიცოცხლისთვის და ზოგნი კი შეადგენენ მისთვის ანუ დიდს და ანუ მცირედს ნაკლულევანებას. ყველა რაც კი არის კაცის სიცოცხლისთვის და მისის მოთხოვნილებაების დასაკმაყოფილებლად საჭირო (для удовлетворенія основныхъ условій и требованій жизни) შეადგენს მისთვის უპირველესს სიკეთეს და ბედნიერებას და იმათი მოკლება იმისთვის სიკვდილის თანასწორია. მოაკელით კაცს ჰაერი, საჭმელი და სასმელი—ეს ეთანასწორება მის აუცილებელს სიკვდილს და მათის შეწყვეტით—შესწყდება მისთვის ყოველ გვარი სიამოვნება და კმაყოფილება. მოაკელით კაცს განათლება, თავისუფლება, თავის საყვარელი საგანი და კაცი შეიქმნა უბედური, ის იტანჯება, იმას ჭაერთვა სრული ცხოვრება და სიცოცხლემ დაჰკარგა მისთვის თავისი სიმშვენიერე და მიმზიდველობა. აქედანვე დაიბადება საჭიროება კაცის უპირველეს მოთხოვნილებათ მიუცილებელის დაკმაყოფილებისა და სხვა საჭიროებათა იმდენათ, რამდენათაც ისინი ეხმარებიან სრულს ცხოვრებას. აქვე უნდა გამოვსთქვა ის აზრი, რომ ყოველი ინდივიდუმი (ყოველი კერძო პირი) არის გაჩენილი სრულის ცხოვრებისათვის, სადაც მისნი ნიჭნი უნნა ვრცლად გაიხსნან და მისნი სასიცოცხლო მოთხოვნილებანი მიუცილებლად დაკმაყოფილდნენ. თუმცა თვით საქმით, ე. ი. ცხოვრებაში ჩვენ ამას არა ვხედავთ, მაგრამ სიმართლე და ჭეშმარიტება ამას მოითხოვენ, რადგანაც ამ შემთხვევაში სიმართლე და ჭეშმარიტება მხოლოდ იმას ითხოვს, რასაც ითხოვს თვით კაცის სიცოცხლე და მისი სიკეთე და ბედნიერება. აქედანვე შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის უდიდესი აზრი, რომ ყოველი ინდივიდუმისთვის სიკეთეს და ბედნიერებას შეადგენს ის, რაც ეხმარება მის მოთხოვნილებათ, ხოლო ბოროტს და ტანჯვას ის, რაც უშლის და ეწინაალმდეგება მათ.

მაშასადამე უკანასკნელი მიზანი კაცის ცხოვრებისა არის ბედნიერება, რომელიც გამოჰხატავს სრულს, დაკმაყოფილებულს სიცოცხლეს. მკითხველი ჰხედავს, რომ მე მტკიცეთ დავემყარები სინამდვილეზედ და არ შემოვიტან ჩემს საგანში იმისთანა მიზეზებს და მოტივებს, რომელნიც არ არსებობენ კაცის ბუნებაში და არ ეთანხმებიან კაცის სიცოცხლის კანონებს.

რომ ყოველი კაცი ელტვის ბედნიერებას და ერიდება უბედურებას, ეს ისე ცხადია, როგორათაც რომელიმე მათემატიკური აქსიომა. თუ მკითხვენ: რა დამტკიცება აქვს ამ ჩვენს აზრს, მე უჩვენებ თვით ფაქტზედ და ვგონებ, რომ ამაზედ უკეთესი პასუხი არა [illegible]. აგრეთვე თუ იკითხვენ: რათ ელტვის კაცი ბედნიერებას, მე მიუგებ, რომ ამ კითხვის ასახსნელად გამგზავრდნენ მეთაფიზიკაში და იქ ეძიონ მისი პასუხი. სამეცნიერო ფილოსოფია არა კისრულობს პირველის და უკანასკნელის მიზეზის გამოკვლევას; იგი ამტკიცებს, რომ საგნების არსს კაცი ვერაოდეს ვერ მისწვდება. სამეცნიერო ფილოსოფია იმითიც ჰკმარობს, რომ არის ამ გვარი ფაქტი, რომელსაც თავის თავად საკმაო ახსნა აქვს. ჩვენ აგრეთვე არ შევალთ იმის გამოძიებაში, თან დაჰყვება კაცს ეს გრძნობა, თუ იგი არის მოპოვებული. ჩვენის საგნისთვის საკმაოა ისიც, რომ არსებობს ამ გვარი ლტოლვა ბედნიერებისადმი, რომელიც არის ამოუფხვრელი კაცის ბუნებისაგან. არც ერთი მოთხოვნილება არ არის ისე ძრიელი და არც ერთი არ ეთანახმება მის ბუნებას ისე რიგათ, როგორათაც ეს მოთხოვნილება. იგი შეიცავს სუყოველგვარს მოთხოვნილებას, რომლების დაკმაყოფილებაც შეადგენს მისთვის ბედნიერების წყაროს. ამ შეხედულობით სიცოცხლე არის ბედნიერება და ისე რიგათ საწადინელია იმისთვის, რომ მისის მოსპობით, მოისპობა ჩვენთვის ბედნიერება. კეთილი არის საწადინელი იმდენათ, რამდენათაც ის ეხმარება ამ ბედნიერებას, ანუ რამდენათაც მისი მოკლება გაგვხდის ჩვენ უბედურათ. სიმრთელე არის ბედნიერება, რადგანაც იგი არს წყარო მრავალთა სასიამოვნო გრძნობებისა და მისი მოკლება შეადგენს ჩვენთვის პირდაპირს ტანჯვას. ერთი სიტყვით რაც კი არის საწადინელი, არის საწადინელი იმისთვის, რომ არის ნაწილი ბედნიერებისა და იმდენათ არის სასურველი, რამდენათაც ეს ეხმარება ამ ბედნიერებას. არიან სიკეთენი, რომელნიც მიუცილებლად საჭირონი არიან ჩვენის ბედნიერებისთვის და რომლებიც სრული მფლობელობა დიდათ საჭიროა მისთვის, არიან აგრეთვე სიკეთენი, რომელნიც შეადგენენ სიკეთეს მხოლოდ რომელსამე განსაზღვრულს ხარისხამდე.... ბედნიერების მოთხოვნილება არის მსოფლიო მოთხომნილება. ყოველი კერძო კაცი, ყოველი საზოგადოება და უკანასკნელ მთელი კაცობრიობა ელტვის ბედნიერებას, რომელიც მდგომარეობს ყოვლის სულიერის და ხორციელის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

შემდეგ ამისა დაიბადება ამ გვარი კითხვა: სად და როგორ უნდა დააკმაყოფილოს კაცმა თავისი მოთხოვნილებანი? ამ კითხვაზედ მე მაქვს პირდაპირი პასუხი: საზოგადოებაში და საზოგადოების შემწეობით. მართლაც და სრული კაცური ცხოვრება მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება და სხვაგან არსად. ერთი კაცი არის მეტად უძლური, ბუნება მეტად ძლიერი და ამის გამო მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება მისი გახსნა და სრული დაკმაყოფილება მისს სიცოცხლის მოთხოვნილებათა. ყოველი მცხოვრები საზოგადოებაში არის წევრი საზოგადოებისა და შეკავშირებული მასთან ზნეობითის კავშირით. აქ დაიბადება საჭიროება ერთმანეთის დაცვისა, ერთმანეთის დახმარებისა და ურთიერთის საჭიროების დაკმაყოფილებისა. იდეით ეს არის ის სფერა, სადაც კაცმა უნდა მიახწიოს ბედნიერს, გახსნილს და უკეთესს ცხოვრებას. და აი საიდგან დაიბადება სოციალური გრძნობა საზოგადოების წევრებს შორის, ის სოციალური გრძნობა, რომელიც ყოველს საზოგადოების წევრს გაჰხდის ჩვენს მოყვრად და მიჰმართავს ჩვენს საერთო სურვილს და ლტოლვილებას საყოველთაო ბედნიერებისადმი. ყოველ გვარი სათნოება დაიბადება სოციალურის გრძნობიდგან, და სადაც ეს სოციალური გრძნობა სრულიად არ არსებობს, ან საკმაოდ გახსნილი არ არის, იქ ან სრულიად არ იპოვება სათნოება და ან მეტად იშვიათია. რა მნიშვნელობა აქვს ამ სათნო-

ებას ჩემის მოყვასისათვის? იგი გამოჰხატავს ჩემს თანაგრძნობას მოყვასისადმი, იგი აჩვენებს ხარისხს ჩემის სიყვარულისას მისადმი. სიყვარული და თანაგრძნობა რაღა? ეს არის წადილი მისის ბედნიერებისა, რომელიც მოითხოვს მისის სიცოცხლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ერთის სიტყვით მისს სრულს ადამიანურს ცხოვრებას. რომ მკითხველს ცხადათ წარმოუდგეს ჩემი აზრი, მოვიყვან მაგალითს. უსწავლელი პირი საჭიროებს განათლებაში. ვინც ელტვის მისს განათლებას, ის უშვრება მას სიკეთეს. პირველის საჭიროება უნდა აიხსნას და მეორეს მნიშვნელობაც მაშინ დაფასდება. კაცის სული საჭიროებს გახსნას და განათლებას სხვა არაფერი, როგორათაც ეს გახსნა და რადგანაც გახსნა არის კანონი სიცოცხლისა, აქედგან ცხადდება ინდუვიდუმისთვის საჭიროება განათლებისა და აქედგანვე სჩანს ვითარს სიკეთეს შეადგენს ეს იმისთვის და ვითარს კეთილს უშვრება ის კაცი, რომელიც ელტვის მისს განათლებას.

მაშასადამე სათნოება არის შესაძლებელი მხოლოდ საზოგადოებაში. იგი არის ჩემი მოქმედება მიმართული მოყვასისადმი იმის საკეთილოდ. აიღეთ რომელიც გინდათ კეთილი საქმე; გაარკვიეთ ის, და თქვენ დარწმუნდებით, რომ კეთილი საქმე თქვენგან მოქმედებული გავრცელდება უეჭველად თქვენს მოყვასებზედაც. აი მოხდა თქვენში რაიმე კეთილი ცვლილება, ის თითქოს სხვებს არ შეეხება, მაგრამ თუ საქმეს ღრმათ ჩაუკვირდით, ჩვენ ვნახავთ, რომ ეს კეთილი ცვლილება თქვენში მომხდარი არის აგრეთვე კეთილი სხვისთვისაც. თქვენი ცოდნა, გონება, გული, გრძნობა არის საზოგადო სიმდიდრე და ყოველი შემატება თქვენის სულიერის ნიჭისა, შეადგენს ხალხის შემატებას და საუნჯეს.

საიდგან დაიბადა საყოველთაო ბედნიერების სურვილი? საყოველთაო მოთხოვნილებიდგან და გარდაიქცევა სოციალურ გრძნობათ. ჩვენში ეს გრძნობა ბუნებითია. ჩვენ ბუნებითად თანაუგრძნობთ მოყვასს და აი რა შეამტკიცებს ჩვენს კავშირს საზოგადოებასთან. საჭიროა, რომ ეს თანაგრძნობელობითი მხარე კაცისა გაიხსნას შესაძლებელს საზღვრამდის, საჭიროა, რომ ღრმათ ვიგრძნოთ ჩვენი თანაერთობა მოყვასთან, თანაგანუზიაროთ მას მისი შეწუხება და შევხაროდეთ მის ბედნიერებას. აი რას მოითხოვს გახსნილი სოციალური გრძნობა. ამის მიზეზები უმრავლესნი არიან. პირველად ესა სძევს თვით საზოგადოების შედგენის იდეაში, რადგანაც, როგორცა ვსთქვით, საზოგადოება არის დანიშნული კაცის სრულის და ბედნიერების ცხოვრებისათვის, სადაც ყოველი მისი მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს. მეორედ ყოველის საზოგადოების წევრის მოვალეობა და თავისი საკუთარი სარგებლობაც იმას მოითხოვს, რომ ეხმარებოდეს საზოგადო კეთილს. და აი ამისი მიზეზებიც რომ ყოველგვარი სიკეთე, რომელსაც ვპოებთ ჩვენში, უმეტესად საზოგადოებას ეკუთვნის. ყოველი ჩვენი სულიერი ნიჭი არაოდეს არ არის ჩვენი საკუთრება, არამედ იმაში მონაწილეა საზოგადოება. ყველა რასაც არის მოკლებული ველური კაცი და რასაც ჰფლობს განათლებული წევრი საზოგადოებისა, არის საქმე საზოგადოებითის ცხოვრებისა. პირველი არის უბედური არსება, გაცალკევებულის ცხოვრების გამო; მეორე არის აღჭურვილი უმრავლესის იარაღებით თავისის ცხოვრების გასაადვილებლად. ყოველს ინდივიდუალურს ფაქტში ჩვენ ვხედავთ სოციალურის მიზეზების მოქმედებას. ყოველი სისრულე ჩვენის სულიერის ცხოვრებისა არის პირდაპირი შედეგი სოციალურის (საზოგადო) მოღვაწეობისა. ეჭვი არ არის, რომ ყოველი კერძო პირი მოქმედებს საზოგადოებაზედ, მაგრამ ამასთან არც ის არის საეჭვო, რომ სოციალურს ცხოვრებას აქვს უფრო უძლიერესი ზედ-მოქმედება ყოველს კერძო კაცზედ. არსებობს ურთიერთობა, ანუ უკეთა ვსთქვათ, დამოკიდებულება სოციალურის ორგანიზმის და კერძო კაცის გახსნას შორის და საშუალო გამოანგარიშებით (въ среднемъ выводѣ) ინდივიდუალური გახსნა გამოჰხატავს საზოგადო გახსნის ხარისხს. ხოლო ეს საზოგადო გახსნა არის ღვაწლი და ნაშრომი ათასის შთამომავლობისა. პროგრესსი არ დაიბადება ერთბაშათ, არამედ იმასაცა აქვს თავისი ფაზისები, თავისი დაბალი და მაღალი ხარისხი. იგი არის გახსნა, რომელიც არის გადაცვლა ერთგვარისა მრავალ გვაროვნათა, სადაც შედარებით გაუხსნელობა ყოველის აგებულებისა და მას შორის სოციალურისა შეიქმნა გახსნილად და განვითარებულად. მაშასადამე იყო დრო ამ გაუხსნელობისა და ხარისხი ეხლანდელის გახსნილობისა არის შედეგი მრავალის შთამომავლობის შრომისა მრავალის საუკუნოების განმავლობაში. ჩვენ შეგვიძლიან უფრო ღრმათ გამოვიძიოთ ამის საფუძველი, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არამთუ ჩვენი გახსნა, არამედ თვით ჩვენი დაბადება და სიცოცხლე არის სოციალური აქტი, მაშასადამე ვინც მოგვანიჭა ჩვენ სიცოცხლე, მასვე ეკუთვნის იგი. რაც საჭიროა ჩვენის სიცოცხლისათვის, იგივე არის საჭირო სხვისა სიცოცხლისათვის და აქედგან დაიბადება ის ზნეობითი პრინციპი, რომ ჩვენის სიცოცხლით უნდა ვემსახუროთ სხვისა სიცოცხლეს. საგანი უფრო ცხადი შეიქმნება, როდესაც გავყვებით ჩვენს აზრს და გავავრცელებთ მას. რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის სიცოცხლეს, ამაზედ, მგონია, საჭირო არ იყოს ლაპარაკი; ისიც საკმაოა, რაც ითქვა, ყველას შეუძლიან დაეკითხოს თავის დაცვის გრძნობას და შემდეგ დააფასოს მისი მნიშვნელობა. რაც შეეხება, გახსნის მნიშვნელობას, ეს კი მგონია ღირსი იყოს გარკვევისა. სიცოცხლის მცირედს მოთხოვნილებათაგან და მათის დაუკმაყოფილებისაგან წარმოსდგება ნაკლულევანი და შეუსრულებელი ცხოვრება. გაუხსნელობა აღნიშნავს ამ ნაკლულევანს და შეუსრულებელს ცხოვრებას და არის მაჩვენებელი უმდაბლესის ბედნიერების ხარისხისა, ხოლო სისრულე ცხოვრებისა გამოჰხატავს გახსნილობის სისრულეს და უჩვენებს უმაღლესს ბედნიერების ხარისხს. შეხედეთ ევროპიელს და ველურს კაცს და ეს აზრი მაშინვე გამართლდება. ნუ დავივიწყებთ, რომ პირველი არის წევრი საზოგადოებისა და მეორე განმარტოებული არსება. ამასთანავე ესეც უნდა ვსთქვათ, რომ კაცის გახსნა შეიცავს სუყოველს კაცის მხარეს და მაშასადამე სულიერსაც. ვინც თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც იგრძნო ძალა აზრისა და ზნეობითის მოღვაწეობისა, რასაკვირველია ის არ მოითხოვს ჩვენგან გონებითის და ზნეობითის გახსნის მნიშვნელობის დაფასებას. და მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ სადაც განათლებული აზრი და გული არ არის, იქ არც ბედნიერება შეიძლება; ესენი არიან შემადგენელი ელემენტები ბედნიერებისა და ამათ დაჰბადებს სოციალური ცხოვრება.

ჩვენ აქამომდე ვლაპარაკობდით, რომ ყოველს კერძო კაცს ვალი აქვს საზოგადო ბედნიერებას ელტოდეს. აქედამვე ცხადათა სჩანს ისიც, რომ მისი საკუთარი პირადი სარგებლობაც ამასვე მოითხოვს. ჩვენ შეგვიძლიან წარმოვადგინოთ ამის შესახებ ახალნი დამტკიცებანი. საყოველთაო ბედნიერება არა თუ არ არის წინააღმდეგი ჩვენის ბედნიერებისათვის, არამედ მიუცილებლად საჭიროა მისთვის. კერძო კაცსა და საზოგადოებას შორის არსებობს რაღაც დაფარული ურთიერთობითი დამოკიდებულება (consengus). მისი ბედნიერება შეადგენს ჩვენს ბედნიერებასაც, მისი ტანჯვა შეადგენს ჩვენს ტანჯვას. ამ შემთხვევაში სოციალური ცხოვრება მოგვაგონებს ჩვენ სხეულს ანუ ორგანიზმს და ამისა გამო მას უწოდებენ „სოციალურ ორგანიზმათ". როგორც სხეულში ყოველს ორგანოს აქვს გავლენა მთელს აგებულებაზედ და აგებულება თავის კვალად მოქმედებს ყოველს კერძო ორღანოზედ, ისეა სწორეთ საზოგადოებაშიაც. ჩვენ ვგრძნობთ არა თუ დაახლოვებულს, არამედ შორეულს მიზეზებს საზოგადოების ბედნიერებისას, თუ უბედურებისას, მისის წინ მსვლელობისას და გაჩერებისას, მისის სიმდიდრისას და სიღარიბისას და სხვა და სხვ. ეხლანდელი უმოქმედობა და გაჩერება ჩვენის საზოგადოებისა არის შედეგი იმ მფოთისა და დაუწყნარებლობისა, რომელშიაც ის იმყოფებოდა თითქმის თავის დაბადებიდგან ამ მოკლე დრომდე.

ჩვენი დროს გამოჩენილი პსიხოლოლოსი ბენი ამტკიცებს, რომ სოციალურს გრძნობას აქვს თავისი დასაწყისი იმ გრძნობაში, რომელსაც ის უწოდებს „ემოციად", და რომელიც ქართულად შეიძლება გადაითარგმნოს ამ გვარად: ნაზი მგრძნობელობა. ჩვენი თანაგრძნობელობითი მხარეც რასაკვირველია ამ ნაზს მგრძნობელობას ანუ ემოციას მიეწერება. თუმცა ფიზიოლოლოსი არა ვარ, მაგრამ გავბედავ იმ აპრიორულის აზრის გამოთქმას, რომ ჩვენს ნერვების სისტემაში არის ერთგვარი აპპარატი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ თანაგრძნობელობითს მხარეს და რომლიდგანაც დაიბადებიან ეს ნაზნი მგრძნობელობანი. ეს არის ისეთივე ბუნებითი გრძნობა, როგორათაც თავის მოყვარეობა და უმრავლესნი ჩვენნი ხელიერნი გრძნობანი. ეს გრძნობა უფრო იმისთვის არის კეთილშობილი, რომ ის არის მომეტებულად ობიექტიური, ე. ი. მისი საგანი არის ჩვენის არსებობის გარეშე. ეს გრძნობა არა ჰპოვებს დაკმაყოფილებას თავის პირადს არსებობაში და პირადს ბედნიერებაში, არამედ განევრცება მთელს ობიექტიურს ქვეყნიერებაზედ; იგი არის ის ძალა, რომელიც შემოაერთებს ჩვენს პიროვნებას, კაცობრიობას და მისს უმაღლესს ბედნიერებაში ჰპოვებს მიზანს ჩვენის ზნეობითის ლტოლვილებისას. მართლაც და საიდგან აიხსნება ის აღტაცებული სიყვარული კაცობრიობისა, რომელსაც ჩვენა ვპოვებთ ზოგიერთს გვამებში? საიდგან აიხსნება თუ არა ამ გვარის გრძნობიდგან, რომელსაც აქვს განსაკუთრებითი აპპარატი ჩვენის ნერვების სისტემაში, რომ ისინი უმსხვერპლიან თავს კაცობრიობის ბედნიერებას? საიდგან აიხსნება ის დალონება, რომელიც შემოეხ[illegible]ზედ, როდესაც თავის გარეშემო ჰხედავს მხოლოდ ტანჯვას, მხოლოდ კაცობრიობის არსების ულრმესს დაცემას? საიდგან აიხსნება, თუ არა აქედგანვე, ის განმანათლებელი სხივი სიცოცხლისა და ნეტარებისა, რომელიც ჩამოესახება ჩვენს გულს, როდესაც ჩვენს გარეშამო ვგრძნობთ ახალს სოფელს ახალის სიცოცხლისას?.... მე შემეძლო აქ მომეყვანა ერთი მაგალითი, რომელიც მე თითონ გამოვცადე და რომელიც ღრმათ ჩამრჩა გულში. აი თითქმის ერთმა წელმა განვლო მას აქეთ და მე იმას ისეთისავე აღტაცებით ვიგონებ, თითქო ეს ჩემთვის ახალი და უცნობი გრძნობა იყოს. ჩემ წინ გაიშალა ახალი ცხოვრება და მომავალში ჩვენი ერი წარმომიდგა მე განათლებული. მე არ შემიძლიან მისი მნიშვნელობა საკმაოთ დავაფასო, მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ მან მოახდინა სრული ცვლილება ჩემს არსებაში. მაგრამ მაპატივე, მკითხველო, რომ მე ჩემს ჩვეულებრივს კილოს ვუმტყუვნე და მივეცი თავი ლირიკულს გრძნობას. მაგრამ აქ გრძნობასაც უნდა ჰქონდეს თავისი ალაგი, მით უფრო, რომ თვით ეს გრძნობა ხელ-ახლა და უკეთესად გვიმტკიცებს ჩვენს აზრს.... აი ამ თანაგრძნობაში სძევს თესლი ყოველგვარის სათნოებისა. ეს არის გრძნობა შემაერთებელი მოყვასთან და საზოგადოთ კაცობრიობასთან. ეს არის მშვენიერი ყვავილი, აღმოშობილი კაცის გულისაგან.

მაშასადამე „Vivre pour autrui"—სიცოცხლე სხვისთვის—არის ისეთივე ბუნებითი კანონი ჩვენის არსებისა, როგორათაც თავის მოყვარეობითი გრძნობა და სხვ. აქ ჩემი შინაგანი არსება ჰპოვებს თავის საყვარელს საგანს კაცობრიობაში და აი მისის თვალის წინ გაიშლება მეუფება საზოგადო სიკეთისა და ბედნიერებისა.

(შემდეგი იქმნება).

## საბიბლიოგრაფო ცნობა.

**ქართული ანბანი** და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მესამე გამოცემით დაიბეჭდა და ისყიდება: სემინარიაში, მელიქიშვილის სტამბაში და ალადათოვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ორი შაური.—


# განცხადება.

სამეცნიერო და სალიტერატურო

ჟურნალის **„მნათობის"** გამოცემაზედ.

მთავრობის ნებადართვით, მომავალს 1869 წელს ახლად გამოიცემა უ. ივ. ელიოზიშვილისაგან ნ. ავალიშვილის რედაქტორობით, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „მნათობი" შემდგომის პროგრამმით:

I. სამეცნიერო მაწილი:

1. ისტორიული სტატიები.
2. ბუნების მეცნიერებიდგან სტატიები, საზოგადო ცხოვრებაში გამოსადეგნი.

II. სალიტერატურო ნაწილი:

3. რომანები, მოთხრობები და დრამატიკული თხზულებანი, ადგილობრივნი (ესე იგი ჩვენი ცხოვრებიდგან) და გადმოკეთებულნი.
4. კრიტიკული სტატიები.
5. სხვა და სხვა საგნის შესახები და ბიბლიოგრაფიული სტატიები.
6. ლექსები, და

III. დამატება:

7. სხვა და სხვა ენებიდგან ნათარგმნი რომანები.

ჟურნალი გამოვა ყოველს თვეს თითო წიგნად, სივრცით შვიდი თაბახიდგან ათ თაბახამდე, ანუ 117 გვერდიდგან 160 გვერდამდე.

წლის ფასი, ესე იგი თორმეტი წიგნისა, გაგზავნით ცხრა მანეთი, გაუგზავნელად რვა მანეთი; ნახევარ წლისა—ექვსი წიგნისა—გაგზავნით ოთხი მანეთი და ათი შაური, გაუგზავნელად ოთხი მანეთი; თითო წიგნისა თხუთმეტი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება:

თბილისში „მნათობის" რედაქციის კანტორაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, აბესალომის ქუჩაზე, დ. ავალიშვილის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებნი შეუძლიათ მოითხოვონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинскаго журнала „МНАТОБИ". Въ Кукахъ, въ домѣ Д. Авалова.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го сентября, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.